ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 110

ქალაქი ქუთაისი 28 თებერვალი 2024 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა
რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტების განსაზღვრისა
და დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს 2024 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილების თაობაზე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2024 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილების თანახმად, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის $ბ^1$ ქვეპუნქტის, 28-ე მუხლის მე-2 და 2^3 პუნქტების, 30^1 მუხლის მე-3 პუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და 36-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, 2024 წლის 28 თებერვალს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“** მიიღო შემდეგი **გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა:**

„**მუხლი 1.** განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში კომისიის წევრთა რაოდენობა შემდეგნაირად:

1. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიაში – საკრებულოს 11 წევრი;
2. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში – საკრებულოს 16 წევრი;
3. საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში – საკრებულოს 15 წევრი;
4. საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიაში – საკრებულოს 13 წევრი;
5. საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში – საკრებულოს 15 წევრი.

საქართველო ქ. ქუთაისის
ს ა კ რ ე ბ უ ლ ო
მას. № 30
29 02 2024 წ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

მუხლი 2. დამტკიცდეს პარტია **„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“** წარდგინებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არჩეულ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთაგან საკრებულოში შექმნილი ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობებში წევრთა წარდგენის პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტები (კვოტების რაოდენობა 17 წევრისათვის - 34):

1. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიაში – 5 წევრის ოდენობით;

2. საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო კომისიაში – 8 წევრის ოდენობით;

3. საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში – 8 წევრის ოდენობით;

4. საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიაში – 6 წევრის ოდენობით;

5. საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში – 7 წევრის ოდენობით.

მუხლი 3. დამტკიცდეს პარტია **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“** წარდგინებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არჩეულ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთაგან საკრებულოში შექმნილი ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობებში წევრთა წარდგენის პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტები (კვოტების რაოდენობა 8 წევრისათვის - 16):

1. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიაში – 3 წევრის ოდენობით;

2. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში – 4 წევრის ოდენობით;

3. საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში –3 წევრის ოდენობით;

4. საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიაში – 3 წევრის ოდენობით;

5. საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში – 3 წევრის ოდენობით.

მუხლი 4. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობებში საკრებულოს იმ წევრთა პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტები, რომლებიც გაერთიანებულნი არ არიან არცერთ ფრაქციაში (კვოტების რაოდენობა 10 წევრისათვის – 20) :

1. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიაში - 3 წევრის ოდენობით;

2. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში – 4 წევრის ოდენობით;

3. საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში – 4 წევრის ოდენობით;

4. საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიაში - 4 წევრის ოდენობით;

5. საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში – 5 წევრის ოდენობით.

მუხლი 5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“ 2024 წლის 24 იანვრის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 49-ე სხდომის საოქმო გადაწყვეტილება.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის
წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის
ახალი კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“ ქალაქ
ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2024 წლის 28

საოქმო

თებერვლის 52-ე სხდომის საოქმო გადაწყვეტილება წინამდებარე ბრძანების დედანს თან ერთვის) "

მუხლი 2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია